ხობის მოამბე

№3 (7157)
18 მარტი,
შაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითშეფასებიდან ოქტომბერი ნამეტანია საკმაოდ ბევრი ადამიანისა. საცა უნდა დადგეთ, ოღი ყველგან ხვრეტს... ყოველი საფეხურიდან, რომელზეც ფეხს იდგამთ თუ ბოლამდე დაიჭედებთ, ნაბიჯი-ნაბიჯობით ანის დაიყოლიებლი, რომ მოგდოს და ასწორებლობა აუცილებელი იყოს.“

არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება

№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია აქტიურად ემზადება საქართველოს პარლამენტის 29 აპრილის შუალედური არჩევნების ჩასატარებლად.

წელს ისტორიული მნიშვნელობის არჩევნებია, რომელიც პირველად ტარდება ასე მაშტაბურად ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ამომრჩევლის 91% არჩევნებში მონაწილეობის მიღებას შეძლებს ხმის მთვლელი აპარატებისა და ვერტიფიკაციის (იგივე ამომრჩეველთა რეგისტრაციის აპარეტები)გამოყენებით. დარჩენილ 9-10% ისევ ძველი წესით მიიღებს არჩვენებში მონაწილეობას, იმ საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენები, სადაც კენჭისყრის დღეს არ იქნება გამოყენებული ხმის მთვლელი სპეციალური ელექტრონული აპარატი, საარჩევნო ბიულეტენის გაციფრულების მიზნით, ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ, დალუქულ მდგომარეობაში განთავსდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წინასწარ შერჩეულ შენობაში. საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანას, საარჩევნო ბიულეტენების ინტერნეტსივრცეში განთავსებას და საარჩევნო ბიულეტენების კვლავ შეფუთვას ახორციელებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები.

29 აპრილის არჩევნები ტარდება ხობის ოლქის 24 უბანზე, 19 უბანზე ელექტრონული ტექნოლოგების გამოყენებით, 5 უბანზე ძველი წესით, ძველი წესით არჩევნების ჩატარება გამოწვეულია თუ უბნის ამომრჩეველთა რაოდენობა 300-ზე ნაკლებია ან ოლქიდან 20კმ და მეტი მანძილითაა დაშორებული.

ტექნიკის გამოყენებით გამარტივებული პროცესის გათვალისწინებით მოხდა უბნების გამსხვილება.

ელექტრონული არჩევნებით გამარტივებულია კენჭისყრის დღის სხვადასხვა პროცედურები, გამოირიცხა ადამიანური შეცდომებით გამოწვეული ფაქტორები, ვერიფიკაციის აპარატებში ჩატვირთული იქნება მთელი უბნის ამომრჩეველთა სია, ნებისმიერი რეგისტრატორი, რომელიც თავისუფალია, ის მოემსახურება ამომრჩეველს, ვერიფიკაციის აპარატი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა უტყუარ დადასტურებას კენჭისყრაში, ამით ბევრად ნაკლებ დროში იქნება წინასწარი შედეგების საზოგადოებისადმი გაცნობა შესაძლებელი, თუ ტექნიკური ხარვეზი წარმოიქმნება ამისთვის უბანზე იქნება ტექნიკის ცოდნაზე პასუხისმგებელი პირი.

მოხდება კომისიების გადამზადება, ამომრჩეველი იქნება ინფორმირებული ყველა სიახლეების,სერვისებისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესს და გააფერადებინებს მას ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებულ საცდელ წრეს.

საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მიღების შემდეგ, ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და სპეციალური მარკერის გამოყენებით ავსებს საარჩევნო ბიულეტენს.

საარჩევნო ბიულეტენის შევსების შემდეგ, ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში.

სპეციალური ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენით ამომრჩეველი მიდის ძირითად საარჩევნო ყუთთან და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ათავსებს საარჩევნო ბიულეტენს ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ აპარატში. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით აპარატში ბიულეტენის მოთავსებას, მას შეიძლება დაეხმაროს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ყველაფერს აკეთებს საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებისათვის

ჯემალი შეროზია,
№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს პირველი პრეფექტი ხობის რაიონში თენგიზ ქაჯაია 18 მარტს 60 წლის გახდებოდა, მან საკუთარი სიცოცხლე მიიტანა თავისუფლების სამსხვერპლოზე.

„...საოცარი ხალხი ვართ ქართველები, მრავალ საოცრებას, უნდა ელოდოს მსოფლიო ჩვენგან.“

თენგიზი ქაჯაია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული საჯარო სკოლების მშენებლობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 15 საჯარო სკოლის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა.

მათ შორისაა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა.

გამოცხადებული ტენდერების ჯამური ღირებულება დაახლოებით 66.2 მილიონი ლარია.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტით, ქვეყნის მასშტაბით, გათვალისწინებულია 800 სკოლის მშენებლობა და რეაბილიტაცია. პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიარდი ლარი მოხმარდება.

№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია (უბნები და უბნის მისამართები) 2023 წელი

- №	უბნის დასახელება	№	უბნის განთავსების ადგილი
1	ქ.ხობი	66.01	ხობის 2 საჯარო სკოლა ცოტნე დადიანის 183
2	ქ.ხობი	66.02	ხობის 1 საჯარო სკოლა ქ.ხობის,თამარ მეფის 2
3	სოფელი ხეთა	66.03	ხეთის საბავშვო ბაღის შენობა სოფ. ხეთა
4	სოფელი ახალი ხიბულა	66.04	ახ.ხიბულის №2 საჯარო სკოლა. სოფ. ახ. ხიბულა
5	სოფელი ახალსოფელი	66.05	ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობა სოფ. ახ. სოფელი
6	სოფელი ბია	66.06	ბიის საჯარო სკოლის შენობა სოფ. ბია
7	სოფელი პირველი მაისი	66.07	პ/მაისის საჯარო სკოლა სოფ პ/მაისი
8	სოფელი გურიფული	66.08	ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობა. (ქ.ხობი,ზ.გამსახურდიას 12)
9	სოფელი ზემო-ქვალონი	66.09	ზემო ქვალონის საჯარო სკოლა. სოფ.ზ. ქვალონი
10	სოფელი თორსა	66.10	თორსა-დღვაბის საჯარო სკოლის შენობა. სოფ. თორსა-დღვაბა
11	სოფელი ნოჯიხევი	66.11	ნოჯიხევის 2 საბავშვო ბაღის შენობა სოფ. ნოჯიხევი
12	სოფელი პატარა ფოთი	66.12	სოფ. პ/ფოთის ადმინისტრაციის შენობა სოფ. პატარა ფოთი
13	სოფელი პირველი ხორგა,შუა ხორგა	66.13	შუა ხორგის საჯარო სკოლის შენობა სოფ. შუა ხორგა
14	სოფელი საგვიჩიო	66.14	საგვიჩიოს საჯარო სკოლის შენობა სოფ. საგვიჩიო
15	სოფელი საჯიჯაო	66.15	საჯიჯაოს კულტურის სახლი სოფ. საჯიჯაო
16	სოფელი გაღმა საჯიჯაო	66.16	გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღის შენობა სოფ. გაღმა საჯიჯაო
17	სოფელი შავდელე	66.17	შავდელეს საჯარო სკოლის შენობა სოფ. შავდელე
18	სოფელი ქარიატა	66.18	ქარიატის სასოფლო კლუბის შენობა სოფ. ქარიატა
19	სოფელი ქვემო ქვალონი	66.19	ქვემო ქვალონის 1 საჯარო სკოლის შენობა სოფ. ქვემო ქვალონი
20	სოფელი შუა ქვალონი	66.20	შუა ქვალონის 2 საჯარო სკოლის შენობა სოფ. შუა ქვალონი
21	სოფელი ჭალადიდი	66.21	ჭალადიდის ბიბლიოთეკის შენობა სოფ. ჭალადიდი
22	სოფელი ყულევი	66.22	ყულევის სასოფლო კლუბის შენობა სოფ. ყულევი, იმედის 180
23	სოფელი ხამისკური	66.23	
24	სოფელი ძვ.ხიბულა	66.24	ძველი ხიბულის საბავშვო ბაღის შენობა სოფ. ძველი ხიბულა

ხშირად დასმული კითხვები

რა უნდა ვიცოდეთ სოციალურად დაუცველთა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის პროგრამის შესახებ

რას გულისხმობს სოციალურად დაუცველთა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის პროგრამა?

–საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

პროგრამა სოციალურად დაუცველ პირებს თავაზობს რამდენიმე ალტერნატივას:

–საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიას;

–ღია შრომის ბაზარზე ატვირთულ ვაკანსიას;

–თუ დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზებას;

–პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში ჩართვას.

პროგრამაში ჩართვით სოციალურად დაუცველი პირი იღებს საშეღავათო პირობებს–4 წლის განმავლობაში და მისი სოციალური სტატუსი არ გადამოწმდება.

ვის შეუძლია საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა?

–საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ, 18 წლის და უფროსი ასაკის პირს საპენსიო ასაკამდე, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს.

მსურველები არ უნდა იყვნენ პარალელურად დასაქმებულები კერძო სექტორში ან თვითდასაქმებულები.

ვის და რომელ დამსაქმებლებს შეუძლიათ საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში ვაკანსიების მოწოდება?

–საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ ვაკანსიების მოწოდება შეუძლია, სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ან მის მმართველობის სფეროში მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ასევე, საჯარო სამართლის პირს ან სხვა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს.

რა გამოცდილება, კვალიფიკაცია და განათლება სჭირდება საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვისთვის მოქალაქეს?

–საზოგადოებრივი სამუშაოს მსურველ პირებს პროგრამაში ჩასართავად არ სჭირდებათ გამოცდილება, კომპეტენცია ან შესაბამისი განათლება.

როგორი ვაკანსიებია საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში?

–საზოგადოებრივი სამუშაოები გულისხმობს მაგალითად: ბიბლიოთეკარის დამხმარეს, მეტყევე, მეეზოვე, სკოლის დამლაგებელი, მზარეულის არაკვალიფიციური დამხმარე, ზედამხედველის დამხმარე, დარაჯი, კურიერი, ტერიტორიების კეთილმოწყობის გამწვანებისა და დასუფთავების თანამშრომელი და ა. შ.

შეუძლია თუ არა სოციალურად დაუცველი ოჯახის რამდენიმე წევრს ერთდროულად ჩაერთოს საზოგადოებრივ სამუშაოებში?

–საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია ოჯახის ერთ ან მეტ წევრს. რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ტერიტორიულად სად შეუძლია დასაქმდეს პროგრამით მოსარგებლე პირი?

–სოციალურად დაუცველ პირს საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია იმ მუნიციპალიტეტში, სადაც რეგისტრირებულია და იღებს სოციალურ გასაცემელს.

როგორი სამუშაო გრაფიკია საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოცხადებულ ვაკანსიებზე?

–საზოგადოებრივი სამუშაოებში ჩართვის მსურველ პირებს შეუძლიათ დასაქმდნენ სრული ან ნახევარი განაკვეთით.

მაგალითად: სრული განაკვეთის სამუშაო გრაფიკს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი სამუშაო, რომელიც მოიცავს:

ა) კვირაში 5 სრულ სამუშაო დღეს, სტანდარტული 5-8 საათიანი გრაფიკით (ან დამსაქმებლის სამუშაო დღეების შესაბამისად);

ბ) კვირაში 7 არასრულ სამუშაო დღეს არასტანდარტული 3-4 საათიანი გრაფიკით;

გ) მოქნილი სრული განაკვეთის შემთხვევაში კვირაში 4-5 სამუშაო დღე 8 საათიანი გრაფიკით;

დ) 4 დღეში ერთხელ მუშაობა 24 საათიანი გრაფიკით;

ნახევარი განაკვეთის სამუშაო გრაფიკს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი სამუშაო, რომელიც მოიცავს:

ა) კვირაში 5 სამუშაო დღეს 4 საათიანი გრაფიკით; (ან დამსაქმებლის სამუშაო დღეების შესაბამისად)

ბ) თვის განმავლობაში დღე-მონაცვლეობით მუშაობას 8 საათიანი გრაფიკით;

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის დროს სოციალური გასაცემელი სრული განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში განსაზღვრულია 300 ლარის ოდენობით, ნახევარი განაკვეთით დასაქმების შემთხვევაში კი, 150 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, მოქალაქე სრული განაკვეთით მუშაობისას განსაზღვრული 20 დღის ნაცვლად იმუშავებს ათ დღეს, მიიღებს ათი დღის სოციალურ გასაცემელს.

სად მოხდება დასაქმებული პირის მიერ გამომუშავებული თანხის დარიცხვა?

–სოციალური გასაცემელი დაირიცხება იმ საბანკო ანგარიშზე, რომელზეც ირიცხება სოციალური შემწეობა.

მოეხსნება თუ არა რომელიმე სოციალური შეღავათი იმ პირს, ვინც საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაერთვება?

–დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. სტატუსის ჯავშანი შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის ღია შრომის ბაზარზე გადამისამართდება და უფრო მაღალ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმდება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის შემდეგ, პროგრამით მოსარგებლე პირს შეუძლია თუ არა პარალელურად ღია შრომის ბაზარზე დასაქმება?

–საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართულ პირს პარალელურად ღია შრომის ბაზარზე დასაქმება არ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით მოსარგებლე პირი მოისურვებს უკეთესი ანაზღაურების მქონე ვაკანსიის მოძიებას გადამისამართდება კერძო სექტორში, ის საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამას ჩაეხსნება, თუმცა 4 წლიანი ჯავშანი და სხვა შეღავათები შეუნარჩუნდება.

4

სიკეთე გადამდებია

რედაქციის არქივის გამოუქვეყნებელი საგაზეთო სტატიები, ე. წ. სამზეოზე „გამოსასვლელ“ რიგს და დროს მოთმინებით ელოდებიან...

ერთ-ერთი სტატია სათაურით „პატარაფოთელი ლიზი ექიმი“ (ავტორი ბატონი გოგი ბუკია) მოგვითხრობს ადამიანზე, ვისი პაციენტიც ავტორი შემთხვევით, სასწრაფო დახმარების გამოძახებისას გამხდრა. არადა, ისტორია წლების უკან ავტორის პატარა ფოთში მეურნეობის დირექტორად მუშაობის დროს დაიწყებულა...

სტატიაში ვკითხულობთ:

სასწრაფოს ექიმის მომლოდინეს თურმე წინ დიდი სიამოვნება მელოდა, საწოლს მოახლოებულმა ექიმმა მითხრა, რა გაოგნებული მიყურებთ ბატონო დირექტორო. ლიზი რუხაია ვარ, ვერ მიცანით? თქვენ რომ არა, შესაძლებელია ექიმი არც ვყოფილიყავიო...“

რა თქმა უნდა, თვალწინ კინოკადრივით გაიარა წარსულმა...

„ზაფხულის დღეა. სამსახურში მოვიდა ახალგაზრდა გოგონა. იგი განცხადებით ითხოვდა მეღორეობის ფერმაში მუშაობას. რატომ მაინცდამაინც ფერმაში მეთქი? ჩავეკითხე.

–სკოლა ახლა დავამთავრე, სწავლის გაგრძელება მინდა, მემინდვრეობის სტაჟი არ გამომადგება, უამინდობისას გამოსვლის დღეები არ მექნებაო იყო პასუხი მეორე დილით დავიბარე მეღორეობის ფერმის ბრიგადირ თალიკო წითლიძესთან ერთად, რათა მისთვის სასურველი ვარიანტი შემეთავაზებინა. ახლაც მახსოვს, როგორი გახარებული გავიდა კაბინეტიდან...

მოკლედ, ჩავაბარეთ ახალ შენობის ნახევარი 25 დედა ღორზე, მას როგორც სტუდენტს, ისე მივმართავდი თავისი შრომისმოყვარეობის გამო. ბრიგადირი მიყვებოდა, როგორ უვლიდა ყველაფერს, ასუფთავებდა შიდა და გარე პერიმეტრს, თაროებს ამშვენებდა ყვავილებით და წიგნებით. იგი თავისუფალ დროს არ კარგავდა, მეცადინეობდა.... ხუმრობდნენ კიდეც, გოჭებს უჩქმეტს, ააჭყივლებს და მერე კოცნისო, სწორედ ასეთი ფოტო გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (სკოლიდან ფერმაში).

დადგა მისი გამგზავრების დრო და ლიზი კვლავ გამოჩნდა... მთხოვა ყველა ცნობა წესრიგში მაქვს, მაგრამ რაიკომში შექმნილი კომისია წყვეტს თურმე ლიმიტის გაცემას, ჩვენს ოჯახს ხობში არავინ გვყავს, დახმარება არ მინდა, უბრალოდ, მსურს არ დავიჩაგროო... შევპირდი, ოღონდ შენ გაგვიმართლე და ჩვენ არაფერს დაგაკლებთქო... მართლაც ყველაფერი კარგად დამთავრდა...

მან მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა... ასე გახდა ჩვენი კუკლა(ასე ეძახდა მთელი სოფელი) სტუდენტი..

...დიდი ხანია ლიზი რუხაიას ისტორიის ამ მონაკვეთზე მინდოდა დამეწერა, მაგრამ ვიფიქრე, ჩემი თავის წარმოჩენაში არ ჩამითვალონ მეთქი.... მაგრამ ბედნიერება ყოფილა, როცა სასწრაფოთი გამოძახებული ექიმი გეტყვის–თქვენ რომ არა, მე დღეს ექიმი არ ვიქნებოდიო. მერწმუნეთ, სხვა რომ არაფერი, ამ სიტყვებისთვის ღირდა პატარა ფოთში მუშაობა“...

ბატონი გოგი ბუკია მკითხველს სთხოვდა, თუ ვინმემ იცოდა ლიზი რუხაიას კოორდინატები, ეცნობებინათ მისთვის...

რა თქმა უნდა, მეც დავინტერესდი მისი პიროვნებით, დავაზუსტე მისი კოორდინატები (მადლობა ექიმ პედიატრ სვეტლანა გვათუას და მერის წარმომადგენელს სოფელ პატარა ფოთში,–მთვარისა ბართიას) დახმარებისთვის. ეს სტატია კი მარტის ნომრისთვის შეგნებულად გადავინახე...

შემდგომ ქალბატონი ლიზი იხსენებს: რა დამავიწყებს, ბატონმა გოგიმ თავად წამიყვანა რაიკომის მდივანთან და ბატონ შალვა ხარებავასთან... ჩემი თხოვნა მათ მოასმენინაო.

* * *

ქალბატონ ლიზი რუხაიას ტელეფონით ვესაუბრე და ბატონ გოგის მინდა ვაუწყო, რომ ლიზი რუხაია ექიმების დიდი ოჯახის დიდი დიასახლისია. ქალ-ვაჟი, სიძე, რძალი, ექიმები არიან. მეუღლე ხობელებისთვის კარგად ნაცნობი ექიმი, სენაკის საპატიო მოქალაქე თამაზ ფირცხელავა გახლავთ. (ბატონი თამაზი ვიდრე მოსკოვში დროებით გააგრძელებდა საქმიანობას, ხობის რაიონულ საავადმყოფოში მუშაობდა).

ამჟამად ლიზი და თამაზ ფირცხელავები თბილისსა და სენაკში აგრძელებენ საქმიანობას...

ჩემი შეხმიანების მიზეზი რომ გაიგო, ქალბატონი ლიზი, რომ იტყვიან, სიხარულით ცას ეწია, ახალგაზრდობის დაუვიწყარი წლები გაუცოცხლდა. ბატონ გოგი ბუკიას სამადლობელს ზღვარი ვერ დაუდო, სიყვარულით სავსე სიტყვები ვერ გამოლია....

მეც საუკეთესო სარვამარტო სურვილებით და დიდი პატივისცემით დავემშვიდობე მას...

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, უანგაროდ გაწეული სიკეთე არ იკარგება, პირიქით გადამდებია....

მადლობა გაზეთის ერთგულ მკითხველს, სარედაქციო კოლეგიის მეგობარს, ბატონ გოგი ბუკიას სასიამოვნოდ წასაკითხი მასალის მოწოდებისთვის.

მერი ლაგვილავა

მოლოცვები

ლუარა ყალიჩავას!

საბედნიეროდ, ყველა სოფელს ყავს გამორჩეულად ნიჭიერი, სიყვარულით გარემოსილი, ქვეყნისა და სოფლის მოამაგე და მომსახურე ადამიანები...

ჩემი სოფელი–ქვემო ქვალონი ამ მხრივ ოდითგან მდიდარი და გამორჩეული იყო და არის... ვამაყობ ამ სოფლის შვილობით, ხშირად ვეფერები ამ ქვეყნიდან წასულთა სულებს, ჩემს საყვარელ პედაგოგებს... ვცხოვრობ ჩემი სოფლის ცხოვრებით, რომელსაც ბედით თუ უბედობით არასოდეს მოვცილებივარ...

...სოფლის ცხოვრებას განსაკუთრებული ჭირვარამი თან სდევს, მაგრამ როცა შენს გვერდით დგანან შენთან შეზრდილ-შესისლხორცებული ადამიანები, ყველაფერი ადვილდება, ტკივილიც კი მსუბუქდება....

ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ახალი შენობის აშენებით გულგახარებულ, მრავარიცხოვან პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებს, მშობლებს (და არამარტო) უდიდესი სიხარულის განცდა კიდევ ერთხელ მოუწიათ...

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ცნობამ, იმის შესახებ, რომ სკოლის დირექტორ ქალბატონ ლუარა ყალიჩავას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება და გადაეცა სამკერდე ნიშანი და სიგელი, ყველა გაახარა...

განსაკუთრებული სიამაყე დაგვეუფლა მის თანაკლასელებს.... ჩვენი „გოგო“ სახელოვანტიტულოვანი მათემატიკოსი, თაობათა აღმზრდელი, თითქმის ნახევარი საუკუნეა ღირსეულად ემსახურება ერთხელ არჩეულ გზას, ალბათ, ისევ სიყვარულის და სხვათა უანგაროდ მსახურების ერთგულების გამო...

მისი განათლებულობა და წიგნიერება სხვა, ამოუწურავი თემაა, რაც ამ დღეებში ერთხელ კიდევ დადასტურდა....

მინდა მივულოცო და მოვეფერო ჩვენი კლასის სიამაყეს, მეგობარს, ახლობელს ეს დიდი და დამსახურებული ჯილდო (რომელიც თავად, სხვისი ხელის „შეშველების“ გარეშე ნაკუწ-ნაკუწ გამოკემსა).

დიდი ხნის ჯანმრთელი, სიყვარულით მოსილი სიცოცხლე ვუსურვო თავის ჯანსაღ, განსაკუთრებით მაღალ კვალიფიციურ კოლექტივთან ერთად. ალბათ ამ დღეს ყველა ელოდა...

გილოცავ, მეგობარო!

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე, წარმატებულ წელთა სიმრავლეს გისურვებ!

მერი ლაგვილავა.

ეთერი დარჯანიას!

ჩვენი მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ღირსეულ ქალბატონს, მედიცინის დამსახურებულ „დასტაქარს“, ამბულატორიის მედდას კოლორიტ ქალბატონ ეთერ დარჯანიას ვულოცავ ღირსეულად გავლილ 65 და დაბადებიდან 85 წლის იუბილეს.

ჩემო ძვირფასო ადამიანო, წლები თქვენი სიმდიდრეა, ღმერთმა დაგაჯილდოთ დიდი ადამიანობით. მადლობას ვსწირავ უფალს, რომ თქვენი სიკეთის, სიყვარულის და გულისხმიერების თანამონაწილე გამხადა.

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს შესანიშნავ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

საუკუნეც მიგეთვალოთ დიდებულო ქალბატონო.

დიდი სიყვარულით

ნაირა ბერაია

წლებით მაღლმოსილი ცოცო ნაჭყებია–100

გაზაფხულდა. აყვავილდა ნუში, ყვავილები მოისხა ტყემალმაც, მისწიგულიდან უკვე დიდიხანია ამოვიდნენ ფურისულები, იები, ყოჩივარდები, ნარცისები, ცისთვალა... მინდვრის ნაზი ყვავილები... უამინდობის მიუხედავად ვხვდებით, რომ უკვე გაზაფხულდა.

გაზაფხულზე, 100 წლის წინათ, 5 მარტს დაბადებულა ხამისკურელი ცოცო (თინა) ნაჭყებია. ქალბატონი, რომელსაც ათეული წლები უღვაწია ხამისქურის საბავშვო ბაღში და რამდენ თაობათა აღმზრდელი-მასწავლებელი ყოფილა. მართალია, მას ოჯახი არ ყოლია, მაგრამ ათეულობით სხვა პატარებთან ერთად თავისი ძმისშვილებიც მანელა და მანანა აღუზრდია და განათლების საფუძველი მიუცია. მართლაც მასზეა ნათქვამი: „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი...“

დღეს ეს ქალბატონი ცოცო (თინა) ძმისშვილ მანელასთან ცხოვრობს და ტკბება მათი სიყვარულით. მართალია, წლები მოსძალებია, მაგრამ მხნეობა და ბავშვებზე ყურადღება დღესაც ძალუძს.

ეს დღე სოფლის უხუცეს ქალბატონს ოჯახის წევრების გარდა, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა, ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში– ირაკლი კუკავამ მიულოცა და გაახარა.

გაზეთი „ხობის მოამბე“ დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ულოცავს ცოცო (თინა) ნაჭყებიას საუკუნოვან იუბილეს და ბედნიერ, თბილ, ლამაზი ცხოვრების გაგრძელებას უსურვებს.

ბედნიერი მამიდა, დიდი ბებო ბრძანდებით. კიდევ დიდხანს იყავით თქვენს მიერ გაზრდილ მანელა და მანანა ნაჭყებიებთან და მათ მონაგართან ერთად!

ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ქალბატონო!

პატივისცემით
ნანი კილასონია

კარგი ტრადიციების მატარებელი გახლავთ ნახევარ საუკუნეგამოვლილი, ხობში არსებული მუსიკალური სკოლა, რომელსაც ათეული წლები ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი ხელმძღვანელობდა. სკოლას ჰყავდა და ჰყავს საუკეთესო პედაგოგები, საუკეთესო მუსიკისმოყვარული–ფორტეპიანოს დაკვრით გატაცებული ბავშვები. ბევრმა მათგანმა ცხოვრების გზა განაგრძეს, მეგზურად ფორტეპიანოს სიყვარული გაიყოლეს ხობის მუსიკალური სკოლიდან და თავად გახდნენ მუსიკოსები (ქ. თბილისის კონსერვატორია დაამთავრეს და დღეს მოღვაწეობენ ამ დარგში–კომპოზიტორი ზაზა წურწუმია, პიანისტები მედეა თუთბერიძე, ნანა კაცია, მარიკა კუჭავა, მადონა ჭითავა... ბევრმა კი მუსიკალური სასწავლებლები დაამთავრა...

მრავალჯერ გამოიცვალა ხობში არსებულმა სკოლამ ადგილმდებარეობა. (ხუთი წელია ხობის სამუსიკო სკოლამ ადგილი თეატრის შენობაში დაიმკვიდრა.) სკოლას წლები ხელმძღვანელობდა პიანისტი **თამუნა ხუნწარია**. *ამჟამად მას* **ნაზი ბერაია** *უძღვება.*

ფორტეპიანოს სიყვარულით...

უპირველესად სამუსიკო სკოლის პედაგოგებს მოგესალმებით და მოგილოცავთ გაზაფხულის მობრძანებას, დედისა და ქალის დღესასწაულებს!..

გაზეთის ტრადიციული შეკითხვით მოგმართავთ ქალბატონო, ვინ არის ნაზი ბერაია?

–დავიბადე ქალაქ ხობში 1953 წლის 3 ივნისს. დედა თამარ ჭოჭუა და მამა მელიტონ ბერაია მოსამსახურეები იყვნენ. დავამთავრე ხობის №2 საშუალო სკოლა, შემდეგ ქ. ფოთის სამუსიკო სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით...

გზა, რომელიც დღემდე გაიარეთ?

–სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ხობის მუსიკალურ სკოლაში. იქ, სადაც ვეზიარე ფორტეპიანოს, სადაც მუშაობდნენ ის პედაგოგები, რომლებმაც დამაკვალიანეს და მასწავლეს მუსიკის ანა-ბანა, დამაუფლეს საქმეს, რომელსაც ვემსახურები...

შემდეგ ბედმა პირველ მაისში მაცხოვრა. შევქმენი ოჯახი მოგელ ქანდარიასთან ერთად, მყავს 2 ვაჟი, მეუღლე ადრე გარდამეცვალა ჩემი ცხოვრების აღმართს დაღმართი მოჰყვა...

რა არის თქვენთვის სიყვარული?

–ყველანაირ, ჭეშმარიტ სიყვარულს ვცემ პატივს. ჩემი ცხოვრების აღმართ-დაღმართს ჩემი შვილების გიგა და გოგა ქანდარიების სიყვარული აძლიერებს და ალამაზებს.

მათ უზომოდ გამახარეს. ბიჭებმა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრეს ინჟინრის სპეციალობით, მუშაობენ თბილისში და იქ ცხოვრობენ. კარგი ოჯახები აქვთ. ერთი რძალი–მაკა იმედაძე პროფესიით ექიმია, ამჟამად მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მეორე რძალი–ესმა ჭეჟია სპეციალობით ბუღალტერია.

ჩემი დიდი სიყვარული და იმედი შვილიშვილები არიან. გიგი–უკრაინის–ზაპოროჟიეს უნივერსიტეტის სტუდენტია, ფინანსების „საიდუმლოს“ ეზიარება. ქეთი–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს, ხოლო ანასტასია და გიორგი მე-2–3 კლასის მოსწავლეები არიან.

ეს და ჩემი დიდი ოჯახი მილამაზებს ცხოვრებას. შვილებმა და შვილიშვილებმა იმედები გამიმართლეს, ისინი ძალზე შრომისმოყვარენი და პატიოსანი ადამიანები არიან. ღვთისა და ტრადიციების მოყვარულნი გახლავან, რაც მაძლიერებს და სამსახურშიც მყარად ვდგავარ.

წლებია პიანისტი ბრძანდებით. მუსიკა თქვენი ჰობია, სიყვარული თუ ცხოვრების გზა?..

–ბავშვობიდან მუსიკა, კერძოდ ფორტეპიანო ჩემი ჰობია, სიყვარული და ცხოვრების გზა. მუსიკა ჩემთვის ყველაფერია.

სამუსიკო სკოლაში მუშაობის 48 წლიანი გამოცდილება მაქვს. წლებია ვარ მუსიკის მასწავლებელი და სასწავლო ნაწილის გამგე. ამჟამად გახლავართ სამუსიკო სკოლის მენეჯერი.

თქვენი აზრით, რა არის მადლიერება, ვის მიმართ ხართ განსაკუთრებით მადლიერი?

–განსაკუთრებით ვემადლიერები უფალს. მას ყოველი დღისთვის ვუხდი მადლობას. სიყვარულითა და მადლიერებით ვიგონებ ჩემს მშობლებს, მათ მასწავლეს სიყვარული, ერთგულება, თავმდაბლობა. მათთან ერთად სკოლის პედაგოგებს მარო შონიას, შალვა კალანდიას, ეთერ ბიწაძეს, საშა არჩაიას, თამარ ჩაგვავა.

რამდენად გახსნილი ადამიანი ხართ?

–ვფიქრობ, გახსნილი ვარ. ეს ოჯახიდან მომსდგამს, როცა სიმართლეს ვამბობ, გულზე მეშვება, დამალული არაფერი მაქვს. მიყვარს მართალი ადამიანები...

დაბრკოლებებს როგორ უმკლავდებით?

–დაბრკოლებებს ყოველთვის ვუმკლავდები. ვცდილობ, იმედიანად ვუყურო ყველაფერს. ამ პათოსით გავდივარ დღის სინათლეზე...

როგორ ფიქრობთ, ემოციური ბრძანდებით?

–ემოციური არ ვარ. ყოველთვის ვფიქრობ, შეიძლება ეს იყოს ჩემი დაბრკოლებების მიზეზი. კითხვას ვუსვამ თავს, ვარ თუ არა მართალი? პასუხიც არ აყოვნებს. რასაკვირველია, მართალი ვარ!

თვითკრიტიკა თქვენი დამახასიათებელი თვისებაა?

–დიახ! მახასიათებს.

სამუსიკო სკოლაში ახალი მისია დაგეკისრათ, გახდით მისი ხელმძღვანელი–მენეჯერი, გვიამბეთ თქვენს სკოლაზე?

–სამუსიკო სკოლაში 125 ბავშვი სწავლობს. მათ სწავლას 15 პედაგოგი ემსახურება. ჩვენ ერთად ვცდილობთ გავუმკლავდეთ და პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ დაკისრებულ მოვალეობას. თითოეული ჩვენთაგანი ვართ პროფესიაზე შეყვარებული, ერთურთისა და საქმის მიმართ სიყვარულით აღსავსენი. გაგვაჩნია მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, ვცდილობთ, მაღალ დონეზე დავაკვალიანოთ ბავშვები, რომლებიც ახალ-ახალი ინოვაციის წინაშე დგანან, ვცდილობთ, ვასწავლოთ და დავაუფლოთ მუსიკას.

ჩემს გვერდით მუშაობენ თავიანთ სპეციალობაზე შეყვარებული ადამიანები. მათ შორისაა ჩემი ყოფილი მოსწავლე ჟიული ლატარია.

როგორია თქვენი მუშაობის შედეგები? როგორ ხდება მუშაობის შეჯამება?

–სკოლაში ტარდება საახალწლო თუ საგაზაფხულო კონცერტები. წლის ბოლოს გვაქვს მუსიკალური კვირეულები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოავლინონ მუსიკის ნიჭი, შეთვისებისა და შესრულების უნარი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ვატარებთ შემაჯამებელ კონცერტებს, როგორც ფორტეპიანოს, ასევე გუნდის კლასებში.

სკოლა აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ღონისძიებებში. ჩემი ინიციატივით ჩამოვაყალიბეთ შერეულ გუნდთან ერთად, ვაჟთა ვოკალური ჯგუფი უნიჭიერესი ბიჭებისგან.

ერთხელ ყოფილმა მოსწავლემ მითხრა „ბედად გაქვთ კარგი მოსწავლეები გყავდეთ, თუ?.. ჩემი პასუხი იყო ასეთი, ყველა მოსწავლეში ვეძებ გასაღებს, სწავლების გამორჩეულ მეთოდს და მაქსიმალურ შედეგებს ვაღწევ...

გმადლობ ინტერვიუსთვის. წარმატებები გაგიმრავლდეთ.

–გმადლობთ! თავადაც გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა
ნანი კილასონია

2

სად, რომელ უწყებაში შეუძლია საზოგადოებრივი სამუშაოებით დაინტერესებულ პირს დაზუსტებული ინფორმაციის მიღება არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით? ვის უნდა მიმართოს დასაქმების მსურველმა?

–პირველ რიგში, საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის მსურველი პირი აუცილებელია, რომ რეგისტრირებული იყოს პროგრამით მოსარგებლეთა ბაზაში. სამუშაოებში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, გაარკვიოს არის თუ არა პროგრამით მოსარგებლეთა სიაში. სტატუსის დაზუსტების შემდეგ კი ბენეფიციარს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს კონსულტანტი, შესთავაზებს მისი რეგისტრაციის შესაბამის ტერიტორიულ არეალში არსებულ ვაკანსიებს, ჩაუტარებს მოკლე აღწერას არსებული ვაკანსიისა და პროგრამის შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში მას გადაამისამართებს დამსაქმებელთან, მაგალითად: სკოლის დირექცია, აიპ, სსიპ ან მუნიციპალიტეტი. მხარეთა შეთანხმების შემდეგ ბენეფიციარს უფორმდება სამმხრივი სოციალური ხელშეკრულება და ერთვება პროგრამაში.

რა მოხდება თუ ბენეფიციარი თავისი ნებით უარს იტყვის საზოგადოებრივ სამუშაოზე?

–პროგრამით მოსარგებლე პირი თუ თავისი ნებით ჩაეხსნება პროგრამას, ავტომატურად მას 4 წლიანი ჯავშანი გაუუქმდება და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. ასევე, თუ სოციალურად დაუცველი პირი არაჯეროვნად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას საზოგადოებრივი სამუშაოს ფარგლებში, მონიტორინგის სამსახური მოახდენს იდენტიფიცირებას და მასთან ხელშეკრულება შეწყდება.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმების პროგრამაში ჩართვა არ სურს, უწყდება თუ არა სოციალური შემწეობა? შეუძლია თუ არა სოციალურად დაუცველ მოქალაქეს თავდაპირველი გადაწყვეტილების შეცვლა? დასაქმების პროგრამაში მოგვიანებით ჩართვა ან პროგრამიდან გამოთიშვა?

–თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება, თუმცა პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეიძლება. შესაბამისი ბენეფიტებით სარგებლობა პროგრამაში ჩართვის დღიდან იქნება შესაძლებელი. პროგრამიდან გამოთიშვის შემთხვევაში კი, მონაწილეობაზე უარის თქმის თვიდან, ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ავტომატურად გადამოწმდება.

ლაშა გვასალია–50

ცხოვრების გზა

ლაშა რომანის ძე გვასალია დაიბადა 1973 წლის 7 თებერვალს ხობის რაიონის სოფელ პირველ გურიფულში. 1989 წელს დაამთავრა ხობის №1 საშუალო სკოლა. 1990- 95 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1992–97 წლებში–თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტში. პირველი ლექსი „სამშობლო“ 1986 წელს დაიბეჭდა ხობის რაიონულ გაზეთში. სკოლის ასაკიდანვე იბეჭდებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთში. იყო ჟურნალ „დილას“ წლის სტიპენდიანტი. პირველი კურსიდანვე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თავის ბიოგრაფიაში „ზვიადელობას“ მიიჩნევს ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან გზა-საწიერად.

გამოცემული აქვს პოეტური და პროზაული კრებულები. მისი ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა ქვეყანაში გამომავალ თითქმის ყველა ლიტერატურულ პერიოდიკაში. ***მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული ჯილდო, მათ შორის: „ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია“, „წმინდა ილია მართლის პრემია“, რეზო ინანიშვილის სახელობის პრემია, ტერენტი გრანელის პრემია, ასევე არის „მსოფლიოსმცირე პროზის კონკურსის ლაურეატი“ (2007 წ.) და სხვა.*** იყო სხვადასხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ლიტერატურული გამოცემის რედაქტორი. ამჟამად რედაქტორობს ლიტერატურულ ჟურნალს „მწერლობა- 21“. არის სხვადასხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივი აკადემიის, საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა და მეცნიერთა აკადემიის წევრი, საქართვე-ლოს მწერალთა კავშირის სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ამჟამად სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსია.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

ჩვენო ლაშა!

ასე უბრალოდ მომართვის უფლება რედაქციელებმა დიდი ხანია (შენი პირველი ლექსის დაბეჭდვის შემდეგ) მოვიპოვეთ. ფეხბედნიერები ვყოფილვართ...

თვალსა და ხელს შუა გაგვფრენია ნახევარი საუკუნეც, ახალგაზრდობაში დიდად რომ გვეჩვენებოდა. გვინდა სიყვარულით გითხრათ, მას შემდეგ მიუხედავად მაღალი საფეხურების ავლისა, ჩვენგან არ წასულხარ... სიყვარულს, ნიჭიერების დაფასებას ადექვატურად პასუხობდი... გაზეთის „გაჭირვების ტალკვესი“ ხარ, მკითხველს გვინებივრებ შენი პუბლიკაციებით, (ლექსებზე და ესეებზე არას ვამბობთ).

ქართული და მეგრული ენის ზეობის დამცველო და დარაჯო, ეროვნულ მოძრაობაში შენს დამსახურებაზე, შემოქმედებაზე, ღირსებასა და ადამიანურ ამაღლებულ ღირებულებებზე სხვები–შენი ტოლ-სწორები საბედნიეროდ დღესაც და მომავალშიც ისაუბრებენ, მაგრამ გვჯერა, ჩვენი უბრალო მოფერება შენთვის არანაკლებ სიამოვნებაა...

უბრალოდ გეტყვით–გვიყვარხარ, გვეიმედები, ვამაყობთ შენით!

მრავალჟამიერ შენი სიცოცხლე!

ხობის მოამბელები

ჩვენ ერთგული თანამოყალმე!

ძვირფასო ლაშა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში–დაბადების 50 წლისთავს.

თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც რწმენითა და სიყვარულით ემსახურებით მშობლიურ მწერლობას, მშობელ ქვეყანასა და ერს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1985 წელს შედგა, როდესაც ხობის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის მშენებელში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „სამშობლო“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები–ლექსები, მოთხრობები, ნოველები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი გიცნობთ, როგორც ჩინებულ პოეტს. ამის დასტურია თქვენი ლირიკული კრებულები „საწიერი“, „გზა“, „ფიქრების ქარი“, „დასაწყისი“, „სრულებით“. ამ კრებულებით კიდევ ერთხელ გაცხადდა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ჭეშმარიტ შემოქმედს თავისი სამშობლო, მისი წარსული თუ მომავალი. ამ კრებულებში შესული ლექსების ლირიკული გმირი ხომ მუდამ იმ ხალხს შესტრფის და შესციცინებს, ვინც მშობელი მიწის ერთ მტკაველ ველსაც კი არ თმობდა,შესტრფის ქართველ გუთნისდედას, კირითხუროს, მეზვრეს, ყველას, ვინც აქამომდე მოიყვანა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა. გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ პატარავდება შაგრენის ტყავივით მისი საესავი მამული, როგორ ტირიან კოინდრები ილორის კურთხეულ სანახებში, როგორ შავდება ცა, ცრემლითა და ძაძით ნაფერი. ენატრება დიდი დავითი და ილია, თამარი და დემეტრე, ცოტნე და თევდორე მღვდელი. კვეტარის ციხიდან დანახული საქართველო ეიმედება და ძველ ლომგულთა დარი ქართველების მოვლინებას შესთხოვს არსთა-გამრიგეს...

თქვენი პოეზიის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს თქვენეული პროზა, რომელმაც ისეთ კრებულებში დაივანა, როგორიცაა „ფიქრი“, „ყველაფერსა და არაფერს შუა“, „ორანი“, „ზოღაშ ბერეთე (ზღვის შვილი)“.

თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ჰაინრიხ ჰაინეს, ალექსანდრე პუშკინის, ანა ახმატოვას, მოლა ორაზის, ალექსანდრე ბლოკის, კონსტანტინე პაუსტოვსკის შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

თქვენი ლექსები თარგმნილია თურქულ, აზერბაიჯანულ, ლაზურ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ ენებზე.

სხვადასხვა დროს რედაქტორობდით ისეთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ორგანოებს, როგორიცაა გაზეთი „მაფშალია“, ჟურნალი „მწერლობა XXI“, გაზეთი „ლიტერატურა“, გაზეთი „აღდგომა“, „მთავარი გაზეთი“, მუშაობდით სახელმწიფო კანცელარიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელად, საქართველოს პარლამენტის კავკასიის საკითხთა მიმართულების მთავარ სპეციალისტად, პოსტინდუსტრიული „ახალი საზოგადოების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელად, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსად, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელად და ყველგან უნარიანად და საქმის ცოდნით უძღვებოდით და უძღვებით დაკისრებულ მოვალეობას.

დაჯილდოებული ხართ ილია ჭავჭავაძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიებით. ყველა გაგვახარეთ, როდესაც იტალიაში გამართულ მცირე პროზის კონკურსზე გრან-პრი მოიპოვეთ. თქვენს მეგობრებს გვეიმედებით, როგორც ერთი გულანთებული ქართველი, რომელიც ჩვენს ულამაზეს და უმშვენიერეს კუთხეში– სამეგრელოში მტკიცედ იცავს საქართველოს ერთიანობის იდეასა და ურღვევობას.

ჩვენო ლაშა!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს შესანიშნავ შემოქმედს, ჭეშმარიტ მეციხოვნეს საქართველოისას.

გისურვებთ დღეგრძელობას და მზეგრძელობას მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ლაშა თითქმის სულ ბავშვი იყო, როდესაც იგი ტაშკენტის ოცდახუთში მოვიდა. ასაკის მიუხედავად, მას უკვე ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი მომავალი მიზნები და ინტერესები, რაც კანონიერი ხელისუფლების კანონიერების აღდგენისთვის ბრძოლაში გამოიხატებოდა. პირველი შეხვედრიდანვე ეტყობოდა, რომ წესიერი, პატიოსანი ოჯახის შვილი იყო; მუდამ თავაზიანი და გაწონასწორებული ხასიათის ჭაბუკი გაბედული და შეურიგებელი იყო ქვეყნის დამაქცევრების, იმ გაავებული ქართველების მიმართ, რომლებიც იმ დროს მთელ საქართველოში დათარეშობდნენ. თვითონაც არ დაჰკლებია ცემა და რეპრესიები, მაგრამ უკან დაუხევლად, ცეცხლოვანი ენთუზიაზმით აგრძელებდა ბრძოლას. მანქურთთა წინააღმდეგ. ტაშკენტის ოცდახუთიც ბევრჯერ დაუცავს, იცოდნენ, რომ ჩვენს ბინაში მისი სახით ძალიან უშიშარი ჭაბუკი ყოველდღე დადიოდა და ამ ფაქტორმა ბევრჯერ გადაგვარჩინა დარბევას და რეპრესიებს. მთავარი მაინც ლაშას შემოქმედებითი საქმიანობა იყო. იგი თავიდანვე ერთგულად ამოუდგა გვერდით უფროსებს და თავისი მახვილი კალამიც შეუერთა ჩვენს საერთო ბრძოლას. „აღდგომის“ თანამშრომლობიდან დაწყებული, შემდგომში უკვე თვითონ გამოსცემდა და რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს–„მაფშალიას“, „მწერლობა–XXI“-სა და სხვებს.

ლაშა გვასალია ჩემი ნამდვილი შვილობილია; მეც მშობლივით ვუყვარვარ და პატივს მცემს. ამგვარი ურთიერთობა იმან უფრო შეადუღაბა, რომ იგი ჩემს მეორე შვილობილსა თუ ძმისშვილზე, თეანა ზაქარაიაზე დაქორწინდა და ახლა მათი ოჯახის ბრწყინვალება განსაკუთრებით მაბედნიერებს. მასშემდეგ გვასალიებისა და ზაქარაიების ოჯახების წევრად ვთვლი თავს, იმდენ ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს ავლენენ ისინი ჩემ მიმართ. ლაშას მამა, ბატონი რომანი ტაშკენტის ოცდახუთის ხშირი სტუმარი იყო და გული მწყდება, რომ ეს საოცრად კეთილი, დიდი გულის ადამიანი ცოცხალი არ არის, რომ ვერ მოესწრო დღევანდელ დღეს და ვერც ლაშას შვილების დაზრდა-წარმატებას იხილავს.

ჩვენს ბუდეში დეფრიტიანებული!

დღეს ჩვენი ლაშა 50 წლის გახდა! ეს უკვე სერიოზული ასაკია, ცხოვრების შუაპერიოდი, როდესაც წიწილებსაც ითვლიან და თან ახალი სიმაღლეებისკენ უჭირავთ თვალი. რაუნდა უსურვო შვილივით საყვარელ ადამიანს იმაზე უკეთესი, რომ დაეპყროს ყველა მწვერვალი, გადაელახოს ყველა ჯებირი, ისე დაეფრთიანებინოს თავისი მზეთუნახავი და ნიჭიერი შვილები, რომ მთელ საქართველოში ქუხდეს მათი სახელი!

გილოცავ, ჩემო ლაშა! თუ რამ მნიშვნელოვანი დამრჩება ჩემი წუთისოფლიდან, ერთ-ერთი შენი სითბო და სიყვარულია, ამიტომაც მეამაყები და მეიმედები...

ლუარა გამყრელიძე.

ნომრის სტუმარია ძველი ხიბულის საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი მაკა (ერიდა) ჯიშკარიანი

„ისინი მომავლიდან მოდიან!..“

ქალბატონო მაკა (ერიდა), გაზაფხული შემობრძანდა და მას მინდვრის ულამაზეს ყვავილებთან ერთად დედისა და ქალის დღესასწაულები მოჰყვა. გილოცავთ! ბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს თქვენი ყოველდღიურობა...

–დიდი მადლობა. თქვენც, ასევე გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თითქმის მთელი თქვენი ცხოვრება ბავშვებთან და მათ აღზრდასთან ასოცირდება. პატარების სულის მეინტერიერი საუკეთესოა. რა იყო ამის წინაპირობა. ვინ არის ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი?

–2019 წელს ძველ ხიბულაში

ჩამოვიდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მან მოინახულა კარლო ღურწკაიას სახლი, სადაც სიცოცხლის ბოლო დღეები საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ გაატარა. ბატონი ბიძინა იქვე შეხვდა მოსახლეობას. სახლის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ გადაწყვიტა სახლს დაბრუნებოდა პირვანდელი სახე. სახლთან ახლოს აშენდებოდა ტაძარი.

მოსახლეობასთან დიალოგში წამოიჭრა გზის, გაზის და წყლის შემოყვანის საკითხი. ბოლოს, სკოლის პედაგოგმა ქეთევან ბერაიამ მოახსენა, რომ სოფელში არ იყო საბავშვო ბაღი. ბატონი ბიძინას სტუმრობიდან მეხუთე დღეს ჩამოვიდნენ სპეციალისტები და დაიწყეს საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 2020 წლის სექტემბრისთვის უკვე დასრულებული იყო.

გვიამბეთ თქვენი ბაღის წარსულსა და აწმყოზე?

–2020 წლამდე შეკედლებული ვიყავით ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ძალიან ცუდ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ის სივრცე, რომელიც ჩვენთვის იყო გამოყოფილი, არ იყო საკმარისი ბაღის ცხოვრებისთვის, ვერ ვატარებდით აქტივობებს, რომელიც დაგეგმილი გვქონდა; გარემო არ იყო უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი, დაწესებულების შიდა და გარე სივრცე არ აკმაყოფილებდა ბავშვის ყველა ძირითადი საჭიროების მოთხოვნებს, რაც ახალ, საოცნებო ბაღში გადმოვედით, ჩვენი ბაღის ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ის, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით, ერთ წელიწადში ოცნება რეალობად გადაიქცა.

როგორ შეხვდით ახალ სასწავლო წელს?..

–როგორც იცით, მსოფლიოში გავრცელებული კოვიდ პანდემიის გამო, ბაღების ფუნქციონირება თითქმის შეწყვეტილიყო. მიმდინარე წელი ჩვეული რიტმით დავიწყეთ.

პირველი დღის საზეიმო განწყობა ხობის მუნიციპალიტეტიდან მოსულმა სტუმრებმა–საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ქავთარაძემ და საკრებულოს კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონმა დოდო გაბუნიამ გაგვილამაზეს, მათ თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს მიულოცეს ახალი სასწავლო წლის დაწყება.

წლის ბოლოს ვიზეიმეთ ახალი წლის შემობრძანება, სადაც საახალწლო საჩუქრები გადავეცით აღსაზრდელებს, რომელიც ბაღების გაერთიანებამ და მუნიციპალიტეტმა გადმოგვცა.

საახალწლო ზეიმზე მოწვეული იყო მერის წარმომადგენელი ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონი გოგი გოგინავა.

სააღმზრდელო დაწესებულების წარმატებისთვის რა არის მთავარი?

–მთავარია, პროფესიონალიზმი. ეს ისეთი სფეროა, ყველაზე სათუთ არსებებთან გვაქვს ურთიერთობა. სიყვარულისა და ნდობის გარეშე ბაღში პატარებთან დაიმკვიდრო ადგილი, ადვილი არაა. ეს პატარები მოდიან ოჯახიდან პირდაპირ ჩვენთან. ჩვენ საპასუხოდ უნდა ავღზარდოთ ჯანსაღი თაობა.

რა აქტივობები ტარდება თქვენთან, რა სიახლეებია..?

–საბავშვო ბაღში ყველა აქტივობა იგეგმება წინასწარ თითოეული ბავშვის საჭიროებების და ინტერესების შესაბამისად. ყოველი თვის კალენდარული გეგმა დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მიერ. საბავშვო თემების მიხედვით კეთდება პროექტები.

აღმზრდელ-მასწავლებლებმა მუსიკის მასწავლებელთან ერთად აღნიშნეს გაზაფხულის შემობრძანება, დედის და ქალთა დღე. პროექტის სახით, პატარებმა დედებისთვის გააკეთეს მოსალოცი ბარათები, რომელიც დიდი სიხარულით გადასცეს დედიკოებს.

ვიცი, რომ მუნიციპალიტეტის ბაღებში მრავალფეროვანი მენიუა. ეს ვისი დამსახურებაა. ბავშვები და მშობლები გემადლიერებიან?

–დიახ, ბაღში კვების მენიუ მრავალფეროვანია, რომელშიც დაცულია ყველა ნორმით გათვალისწინებული კალორიულობის შემცველობა.

სავალდებულო მენიუ იცვლება სეზონურად. კვებაში შედის: საუზმე, წახემსება, სადილი და სამხარი. ასევე გვაქვს კვების ორკვირიანი ვარიანტი, რომელიც იცვლება დღეების მიხედვით.

ეს ადგილობრივი მმართველობის და ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთა დამსახურებაა. მადლობა მათ, ასე რომ ზრუნავენ ჩვენს პატარა მეგობრებზე.

მადლიერებას გამოხატავენ, როგორც ბავშვები, ისე მშობლები.

გვიამბეთ რა დაგეგმეთ? რამდენი ჯგუფია, როგორია ბავშვების მატება? ამ ლამაზ საუფლოში, რომ თავს ბედნიერად გრძნობთ. პატარებს სიყვარულს, მეგობრობას, უფროსების და ერთურთის მიმართ დამოკიდებულებას და პატივისცემას უნერგავთ, გზას უკვალავთ სიახლეებისკენ, აჩვევთ მათ მზაობას სკოლისკენ. დამეთანხმებით, საბავშვო ბაღს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვის აზროვნების ჩამოყალიბებისთვის?

–ძველი ხიბულის საბავშვო ბაღში ამჟამად ირიცხება 16 აღსაზრდელი. ჯგუფი არის შერეული. ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი გახლავთ ინგა შამათავა, აღმზრდელის თანაშემწე მანონი კალანდია, მუსიკის მასწავლებელი ელენე აბულაძე, ექთანი თამარ პატაშური, მზარეული ფიქრია ქავთარაძე, მზარეულის თანაშემწე ნათია თირქია, დამლაგებელი ანჟელა ღურწკაია, ჯგუფის დამლაგებელი თამრიკო კალანდია, ტექნიკოსი კახა ღურწკაია, დარაჯი კოტე მუნჭავა და ზაზა ქავთარაძე.

ბაღში სულ 12 თანამშრომელია. ჩვენი დაწესებულების ყველა მუშაკი კეთილგანწყობილნი და გაწონასწორებულნი არიან ერთმანეთისადმი. ბავშვებთან ურთიერთობისას ხელს ვუწყობთ თითოეული ბავშვის დამოუკიდებლობას. გეთანხმებით, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოზარდის აზროვნების ჩამოყალიბებაში. აქედან ბავშვები მიდიან სკოლაში მომზადებული და ნასწავლი, იციან სხვადასხვა სიტუაციების დროს როგორ იაზროვნონ და განავითარონ სოციალური უნარები.

საიდუმლე ბრძანდებით. რას გვეტყვით ამაზე?

–წლების განმავლობაში, რომ გიწევს პატარებთან მუშაობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხარ მათი მესაიდუმლე, მათი გესმის უსიტყვოდაც, რომ შენ შეგიძლია გამოიცნო თითოეული ბავშვის ყველა სურვილი, ჩანაფიქრი, მისი პატარა სამყაროს მესაიდუმლე ხდები, შენც გადაგეცემა მისი უცნაური, სერიოზული თუ არასერიოზული ქმედება. ეს ყველაფერი მისაღები ხდება და, რაც მთავარია, შენც მისი ტოლი ხდები.

მაინტერესებს, ძველი ხიბულის საბავშვო ბაღს რამდენი წელია ხელმძღვანელობთ და საერთოდ, ვინ არის მაკა ჯიშკარიანი?

–2010 წლიდან ვმუშაობ ძველი ხიბულის საბავშვო ბაღის მთავარ სპეციალისტად.

დავიბადე 1964 წლის 4 ოქტომბერს. სოფელ ახალ ხიბულაში. ვარ უმაღლესი განათლებით. მყავს ოჯახი–მეუღლე როლანდ ღურწკაია, ბუღალტერ-ეკონომისტის სპეციალობით, მუშაობს ზუგდიდის მერის სამსახურში. შვილი სალომე ღურწკაია, სპეციალობით იურისტია (ველოდები ბებიობას).

ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიაში, ძველი ხიბულის საბავშვო ბაღი გამორჩეულ პირობებშია, საუცხოო და თანამედროვე სტანდარტებით აშენებული შენობა შიგნით თუ გარეთ, მთელი

ნანი კილასონია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და ფოთის რაიონული პროკურატურის მხარდაჭერით კოლეჯ „ფაზისის“ ხობის განყოფილებაში, ქვემო ქვალონის და საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში ფემიციდის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა.

ფოთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ემილიანე ბერაიამ და პროკურორის მოადგილემ, ფელიქს ჯალაღონიამ ფემიციდის და ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე და პრევენციის მექანიზმებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე, ასევე ყურადღება გამახვილდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირების დაცვის, მხარდაჭერისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესზე.

მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა შეხვედრის მონაწილეებს მერიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებულ სერვისებზე მიაწოდა ინფორმაცია.

შეხვედრების დასასრულს პროკურატურის წარმომადგენლებმა მოქალაქეთა მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

პროკურატურის წარმომადგენლები ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში პერიოდულად მართავენ შეხვედრებს საზოგადოების წარმომადგენლებთან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ფემიციდის დანაშაულების პრევენციის მიზნით.

— — — — — — — — — — — — — — — — —

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საქირიოს უბანში გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

პროექტის ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 542 000 ლარია.

უახლოეს პერიოდში ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყება. კერძოდ - სოფელ ნოჩხონში დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი.

— — — — — — — — — — — — — — — — —

ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პატარა ფოთში შლამისა და ნატანი მასისგან იწმინდება 3-კილომეტრიანი წყალშემკრები არხი.

დამშრობი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი და მოსავლიანობა.

ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარე თვის ბოლომდე დასრულდება.

სულთათვის

შორენა ნანეიშვილი

ამაღელვებელი დღე დაგვიდგა ძველ რედაქციელებს ჩვენი თანამოკალმის, ნიჭიერი და განსწავლული ჟურნალისტის–შორენა ნანეიშვილის გარდაცვალების გამო (თსუ-ს რუსული ფილოლოგიის კურსდამთავრებული, წიგნიერი და კეთილშობილი მეგობარი).

რასაკვირველია, თითოეული რედაქციელისთვის ის, ძალზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი გახლდათ. დიდი ხანია შორენა ხობიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და იშვიათად ვხვდებოდით ერთურთს. ტელეფონით თუ ვესაუბრებოდით ან ზაფხულის დღეებში ვნახულობდით... მომნატრებია მისი ლაპარაკი, მისი ლამაზი ღიმილი, გამოხედვა... სიცილი... საოცარი იუმორით გაჯერებული ამბების მოყოლა...

წლები სწრაფად, უკანმოუხედავად გარბის... თითქოს გუშინ იყო, რომ ერთად ვიყავით, ერთ საქმეს ვაკეთებდით ერთ ოჯახად შეკრულები.

ძლიერი და კაცთმოყვარე ოჯახი ჰქონდათ ჯული და ხუტა ნანეიშვილებს. მამა, დედა, და, ძმა მისი მფარველები და საყვარელი ადამიანები დიდი ხანია წავიდნენ მისი ცხოვრებიდან და ზეციურ სამყაროში გადაინაცვლეს. შორენა დარჩა მარტო, სულიერ და ფიზიკურ ტკივილებთან, სათაყვანებელ დისშვილებთან და ძმისშვილებთან ერთად. უდიდეს მწუხარებას, და ამ სიცარიელეს მათი ოჯახების სიახლოვე უვსებდა.

ჩემო გოგო! ასე მოგმართავ, სიცოცხლეზე შეყვარებულო შორენა! ნათელი დაადგეს შენს ახალ სამყოფელს. იმედია, ყველაზე საყვარელ ადამიანებს იქ შეხვდები, სადაც შენ უნდა შეაბიჯო. იმედია, ყველას შეეჩვევი და სხვა განზომილებაში გააგრძელებ ცხოვრებას.

ტკბილად იძინე სამუდამო სამყოფელში.

გჯეროდეს, შენს ახლობლებს, რესპონდენტებს და მით უმეტეს ჯერ კიდევ რედაქციას „შემორჩენილ“ ადამიანებს არასოდეს დაგვავიწყდები... ამჯერად სანთლებს დაგინთებთ და შენზე მოგონებებით გავიხალისებთ ცხოვრებას. იქ, ჩვენგან წასული კოლეგები დაგხვდებიან, ისინი ბევრნი არიან.

მშვიდობით, მეგობარო, გაუნელებელო ტკივილო!

ნანი კილასონია

სიყვარული არ გარდაცვლილა... ვალტერ ბერაია

2004 წლის 13 მარტი...

ხობში ყველა ერთმანეთს უსამძიმრებდა...

იმ დღეებში დავრწმუნდი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში სიყვარული არ გარდაცვლილა, არც „საყოველთაო-სახალხო სიყვარული ყოფილა“ დრომოჭმული ფრაზა, რადგან იშვიათად რგებია ადამიანს ისეთი გაუნელებელი ტკივილი, რაც ხობის საზოგადოებამ განიცადა ბატონი ვალტერ ბერაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მუდმივად გლეხი და მუდმივად ინტელიგენტი, ნაღდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი ქვეყნისა და ერის მოჭირნახულე, რჩეულთა რჩეული, მაღალი კულტურის და ზნეობის, სისპეტაკით გამორჩეული, ჩინებული მოპურმარილე, სასურველი სტუმარი და გემრიელი მასპინძელი სულით და ხორცით ლამაზი კაცი...

წუთისოფელი... მართლაც წუთიერია ამ სოფლად ცხოვრება... უღვთოდ გადიან წლები... და თანდათან ხელიდან გვეცლებიან ადამიანები, რომლებიც გულიდან სითბოს და სიყვარულს ღვრიდნენ... მათი არსებობა გვილამაზებდა ცხოვრებას, მიდიან და ტოვებენ გაუნელებელ ტკივილს.

წავიდა ბატონი ვალტერი, ჩვენი გვარის სიამაყე, გვატკინა გული, მაგრამ არა ნაკლებ ტკივილიანი და მწუხარების მომგვრელი გახლდათ ულამაზესი და უმშვენიერესი ქალბატონის, ყველასთვის სათაყვანებელი პიროვნების, ღირსეული შვილების დედის და ბებიის, დამსახურებული პედაგოგის ლარისა ბოხუას გარდაცვალება.

წავიდნენ ქართული ტრადიციული ოჯახის დიდი ადამიანები, რომლებიც ასე ალამაზებდნენ და ამშვენებდნენ ჩვენს სოფელს, გვარს, კუთხეს.

13 მარტი ბატონი ვალტერის გარდაცვალების დღეა...

დიდება მათ ხსოვნას...

ნაირა ბერაია.

გილოცავთ!

ლიეტუვაში მიმდინარე დანას პოზნიაკას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში ხობელმა მოკრივე დემურ ქაჯაიამ პირველი ადგილი დაიკავა.



ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის წარმომადგენლებმა ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრი მავნებლის მონიტორინგს იწყებს. აზიური ფაროსანას იდენტიფიკაციის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტები მონიტორინგს საკარმიდამო ნაკვეთებსა და მიტოვებულ შენობებში ახორციელებენ.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებების პირველი ეტაპის საფუძველზე, იმ ტერიტორიებზე, სადაც მავნებლის დიდი კონცენტრაცია დაფიქსირდება, დამონტაჟდება „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურები, რაც შეამცირებს მავნებლის რაოდენობას და ხელს შეუწყობს გავრცელების ზუსტი არეალის დადგენას. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ტემპერატურის მატებასთან ერთად, დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო, თხილის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტში. პროგრამის ფარგლებში პირველი ეტაპის აგროქულების ჩარიცხვა მარტის თვეში განხორციელდება

საბავშვო ბაღებში პატარებმა დედის დღე ზეიმით აღნიშნეს...

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.